

## ცირა ცეცხლაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი

## ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი  
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი

### აბროზიანის პოლიტიკის სოციალიზაციის ზოგიერთი საკითხი

სახელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა საკითხის განხილვა - გადაწყვეტა მოითხოვს ყველა თავისებურებების გათვალისწინებას, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია, ბუნებრივი რესურსების, საწარმოო პოტენციალის, მეწარმეობის უნარისა და სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციების ეფექტიანობას ასევე ბიზნესის განვითარების დონეს.

დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ის ძირეული გარდაქმნები, რომელიც აუცილებელია საბაზრო ურთიერთობების განვითარებისათვის, ძალიან სწრაფად, მნიშვნელოვნად მოკლე დროში წარიმართა, რაც უარყოფითათ აისახა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, თუმცა უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია ეროვნული მეურნეობის ზოგიერთ დარგზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას ასეული წელი მოანდომეს. ეს სისტემა თანდათან ვითარდებოდა, იხვეწებოდა და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა თანმიმდევრულად იზრდებოდა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ პირობებში სამწუხაროდ ჯერ კიდევ დამახასიათებელია მოსახლეობის უმრავლესობისათვის ცხოვრების დაბალი დონე, რომლის

დაძლევაში სრულად ვერ გამოიყენება ეკონომიკური პოტენციალი, მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

არსებულ მდგომარეობას აქვს, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, მათგან კი მთავარია ქვეყნის მართვას და დაგეგმვაში სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სერიოზული პრობლემების, არსებობა, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ: არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელმაც ვერ უზრუნველყო მცირე ბიზნესისა და მეწარმეთა ინტერესების დაცვა, პრიორიტეტის მინიჭება იმ აზრზე, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი - არის ახალი სამუშაო ადგილების წყარო, სოციალური-ეკონომიკური სტაბილურობის გარანტია, კეთილდღეობის განსაზღვრული დონე, წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია, რის გარეშეც რეალურ პროგრესზე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ზრდაზე საუბარი წარმოუდგენელია; არაეფექტური საგადასახადო სისტემა; შეცდომები პრივატიზაციის პროცესის წარმართვაში; წარმოების შედეგებით დაინტერესების პრინციპების აუქციონებობა და სხვა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის უნდა განხორციელდეს საქონელწარმოების დარგობრივი შეთანაწყობა საბაზრო ურთიერთობებისადმი, რაშიც ეკონომიკის სახელმწიფოებრივმა რეგულირებამ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი.

საქართველოში უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობს ეროვნული მეურნეობის ყველა სექტორის სოციალური, სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთობების რეფორმა. პროცესი შეეხო, როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ და არაკომერციულ სტრუქტურებს. ყალიბდება სოციალური პრობლემების გადაჭრის ახალი მექანიზმი, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს სოციალური პარტნიორობის ეფექტური ფორმების გამოყენებას სახელმწიფოსა და ბიზნესის სეგმენტებს შორის.

სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობითა და არასაკმარისობით გამოწვეული დისპროპორცია ერთის მხრივ, ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარებაში მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის სრულყოფილ და მასშტაბურ რეალიზაციას. მეორეს მხრივ იზრდება ბიზნესის ისეთი სეგმენტების რიცხვი, რომელთა მესაკუთრეებს და მონაწილეებს გათავისებული აქვთ, ისე როგორც რეგიონში ასევე მთლიანად ქვეყანაში მყარი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის აუცილებლობა, ის, რომ მათი ბიზნესის

პროდუქციისა და მომსახურების ძირითადი მომხმარებელი ცხოვრობს განსხვავებულ გეოგრაფიულ სივრცეში.

ჩვენის აზრით სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გამო ბიზნესის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვამს სურვილს, და საჭიროდ მიაჩნიათ მონაწილეობა მიიღონ სოციალური საკითხების დროულად და სრულყოფილად მოგვარებაში, ანუ ბიზნესს სხვა ძირითად მიზნებთან ერთად მიეცეს სოციალური დატვირთვა და სოციალური პასუხისმგებლობა.

მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ცალკეული რეგიონების მიხედვით შემუშავდეს პროექტი სახელწოდებით - „ბიზნესის სოციალური ინვესტიციები“. პროექტში სავარაუდოდ განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა პერსონალის განვითარება; რესტრუქტურისაციის სოციალური პასუხისმგებლობა; ყოფითი პირობების განვითარება; ბუნების დაცვითი საქმიანობა და რესურსების დაზოგვა; შრომითი არსებობის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა; საქმიანი ურთიერთობები და ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა და სხვა.

თუ მოხდება ასეთი პროექტების შექმნა და მათ მიეცემათ რეალურად შექმნისა და განხორციელების საშუალება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავისუფალი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას - თავისუფალი ბიზნეს გარემო კი სოციალური უსაფრთხოების საფუძველთა საფუძველია. ამასთან ასეთი პროექტების მიზანმიმართულება, მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ მისი განხორციელების არეალში მოექცევა აგრარული სექტორიც, რადგანაც სწორედ სოფლად ცხოვრობს შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი და სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოება ერთი მეორისაგან განცალკევებულად ვერ მიიღწევა, რადგანაც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

ქვეყანას მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების შესაძლებლობა და პოტენციალი გააჩნია. რომელთაგან საყურადღებოა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, აგრო სამრეწველო ფონდებში სესხების ხელმისაწვდომობა, წარმოების მასტიმულირებელი, სამართლიანი საგადასახადო - საბაჟო სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს სამამულო წარმოების ზრდის საფუძველზე ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას. შეიქმნება ახალი დამატებითი ფინანსური რესურსები, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყანაში წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. უზრუნველყოთ

სტაბილური ბაზრისა და კეთილსაიმედო, ეფექტიანი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება, კადრების სწავლება - გადამზადება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ცალკეული სტრუქტურების მხრიდან მსგავსი ტიპის პროგრამებს პიარ - კამპანიის სახე არ უნდა ჰქონდეს. ეს უნდა მიმდინარეობდეს რეგულარულად და მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამებზე დაყრდნობით, რადგანაც გლეხს - ფერმერს ესაჭიროება რეალური ფინანსური - მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, როგორც ეს ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია.

აღნიშნულის აუცილებლობას ისიც განაპირობებს, რომ აგროსამრეწველო სექტორში დასაქმებულია 1,5 მილიონი ადამიანი, ანუ საერთოდ დასაქმებულია 54% და საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის (2228 ათასი ადამიანი) 67%; მაშინ, როდესაც დღეისათვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში კი მხოლოდ 12,3 % -ია.

ქართული აგრარული ბაზრის 75%-ზე მეტი იმპორტირებული პროდუქტებითაა გაჯერებული: დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობას პროდუქტების შიდა სამომხმარებლო ბაზრის საერთო მოცულობის (66,0 მილიონი აშშ დოლარი) 63% თურქეთს უკავია; აზერბაიჯანს- 8%; სომხეთს- 5%; 6% სხვადასხვა ქვეყნებს, საქართველოს კი - მხოლოდ 18%. ეს მაშინ როცა თუ დავეყრდნობით ქართველ მეცნიერ - ეკონომისტებისა და წამყვანი აგრონომების შეფასებას საქართველოს წელიწადში გარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების 2 მოსავლიანი წარმოების პოტენციალი გააჩნია.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაძლევის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია გატარდეს აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ორიენტირებული იქნება საექსპორტო დარგების განვითარებაზე, ეროვნული ეკონომიკის, სამამულო წარმოების აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და სტრატეგიულ ხასიათზე.

ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოხელეთა იმ აზრს, რომლებიც აღიარებდნენ, რომ უკანასკნელ პერიოდში ნათლად გამოიკვეთა ევროპელების სერიოზული დაინტერესება ქართული აგროსამრეწველო პროდუქციით. სწორედ აღნიშნულის დასტურია ის რომ გასულ 2 წელიწადში ევროკავშირის ორგანიზაციებმა საქართველოში დააარსეს ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი პროდუქტების წარმოების კოორდინაციის ცენტრი „CAU-CASAN“ და მცენარეთა სერთიფიკაციის კავკასიის ცენტრი „CWC“.

საქართველოს სასურსათო პოტენციალი, ექსპერტების შეფასებით, სრულიად საკმარისია 8-10 მლნ ადამიანის გამოსაკვებად, მაგრამ აგროსასურსათო პროდუქციის შეზღუდული წარმოებისა და მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობის გამო, ძირითადი კვების

პროდუქტების ფაქტიური მოხმარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოცულობებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, კერძოდ სასურსათო პროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შემდეგია: ხორცი და ხორცპროდუქტების მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე 2000 წლისათვის შეადგენდა 32,4კგ-ს; 2009 წლისათვის შეადგინა 42,5კგ-ს, ფიზიოლოგიური ნორმით აუცილებელია 70კგ; რძე და რძის პროდუქტების მოხმარების დონე ერთსულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2000 წლისათვის შეადგენდა 107,5ლ-ს; 2009 წლისათვის შეადგინა 185,5 ლიტრი - ფიზიოლოგიური ნორმით აუცილებელია 330 ლიტრი; კვერცხის მოხმარება 2000 წლისათვის შეადგინა 95,5 ცალი 1 სულ მოსახლეზე; 2009 წლისათვის შეადგინა 98,8 ც - ფიზიოლოგიური ნორმით აუცილებელია 218 ცალი; პური და პურ-პროდუქტების მოხმარება 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2000 წლისათვის შეადგენდა 199 კგ-ს; 2009 წლისათვის შეადგინა 122,3 კგ - ფიზიოლოგიური ნორმით კი აუცილებელია-140 კგ. ასეთივე მდგომარეობაა: შაქარის; კარტოფილის; მცენარეული ზეთის; ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოხმარებაზე 1 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად რეალიზებადი სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის შემუშავება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ქვეყნის მოსახლეობისათვის სასურსათო უზრუნველყოფაში, არამედ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება - განმტკიცების თვალსაზრისითაც, ხოლო ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიღარიბის დაძლევა (რაც სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონეში ნათლად ჩანს) პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკისა და მისი ერთ-ერთი ძირითადი დარგის სასურსათო კომპლექსის, მთლიანად აგრარული პოლიტიკის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან შეთანაწყობის, ინტენსიური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გარეშე, პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები არა მარტო საფრთხეს უქმნის აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმებით მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად ხელს შეუშლის ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში. ახლო წარსულში აგრო სასურსათო-სამრეწველო კომპლექსი შეადგენდა მეპ-ის 52%-55%-ს; აქ თავმოყრილი იყო ძირითადი საწარმოო ფონდების 48%; მატერიალური წარმოების დასაქმებულ მუშაკთა 52% და აკმაყოფილებდა ქვეყნის სასურსათო მოთხოვნილების თითქმის მთელ რაოდენობას ძირითად პროდუქტებზე.

დღესდღეობით ყველა ეს მახეწებელი თითქმის მინიმუმამდეა დაყვანილი, რამაც თავისი უარყოფითი გამოვლენა ჰპოვა ისეთი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების გადაჭრაში როგორცაა: სასურსათო უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოება; უმუშევრობა; სოფლის გაუცხოება; მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობა; სამამულო წარმოების მოხმარების დაბალი დონე; სწორედ ეს პრობლემები ქმნის აუცილებლობას იმისა რომ, აგრარული პოლიტიკის რეგულირება-რეფორმირებას საფუძვლად უნდა დაედოს მისი სპეციალიზაცია: აუცილებელი მაკრო და მიკრო პარამეტრების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს შეუწყობს და რეალურ ძვრებს გამოიწვევს, როგორც მთლიანად ქვეყნის აგრარულ პოლიტიკაში, ისე ცალკეული სოფლის მცხოვრების, ფერმერის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

აგრარული სექტორის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ის რომ, სოფლად ფერმერები, მესაკუთრეები და მეწარმეები საბაზრო ურთიერთობათა სუსტი ცოდნითა და გამოუცდელობით გამოირჩევიან, ასევე ისინი არ ან ვერ იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს (ფინანსური საშუალებების არქონის გამო) რის გამოც, ვერ აწარმოებენ კონკურენტუნარიანი პროდუქციის. აღნიშნულ პრობლემათა დასაძლევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება, რომელიც წინ ედობება აგრარული სექტორის განვითარებას, ესაა სოფლის მეურნეობის დაკრედიტების არასრულყოფილი სისტემა. რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს, ფერმერთა და საწარმოთა დაკრედიტების სისტემა, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონების და რაიონების დონეზე, რომელიც გულისხმობს შეღავათიანი კრედიტების გაცემას ფერმერებზე გარანტიით. ასეთი კრედიტები ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და ამერიკაში, მაგალითად პოლონეთში-ესაა ძირითადად 9 თვიანი კრედიტი, 3-6%-იანი განაკვეთით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთათვის 1-5 წლამდე ხანგძლივობის 9-12%-იანი განაკვეთი წელიწადში;

2. აუცილებელია შეიქმნას სპეციალური მარეგულირებელი სამსახურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც პროდუქციის წარმოების ისე რეალიზაციის პროცესს; მაგ: შეიქმნას ფერმერთა ასოციაციები, გაერთიანდეს ერთი რაიონის ფერმერთა ჯგუფი და გაუწიოს კორდინაცია სოფლად თითოეული ფერმერის ადგილზე მომარაგებას წარმოებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით პერიოდულად გაანალიზოს ბაზარზე თავიანთი პროდუქციის მოთხოვნა-მოწოდების რეგულირება, ფასების ცვალებადობა, რეალიზაციის პროცესი და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამწუხაროდ ჩვენ გაგვაჩნია სოციალურად ორიენტირებული, მაგრამ არა მწარმოებლური ეკონომიკა, სწორედ აქ საჭიროებს მიზნობრივ და სწორი აგრარული პოლიტიკის გატარებას ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან. კერძოდ კი სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების პოლიტიკის შემუშავება, რაც ნიშნავს არა მარტო აგრარული არამედ სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრას;

3. ზემოთ ხსენებულ მარეგულირებელ სტრუქტურასთან ერთად, აუცილებელია შეიქმნას დისტრიბუციის ფართო ქსელი, რომელიც მოაგვარებს ფერმერთა და სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ძირითადი და დამხმარე მასალებით მომარაგების, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს, ეს უკანასკნელი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ქართულმა პროდუქციამ დაკარგა ტრადიციული ბაზრები და შიგა ბაზრებიც კი განიცდის იმპორტული პროდუქციის ზეწოლას, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ფერმერი უზრუნველყოფილი იქნება სადისტრიბუციო მომსახურების საშუალებით მოახდინოს წარმოებული პროდუქციის კაპიტალიზაცია.

4. შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პროდუქციის საექსპორტო პროგრამების ცენტრი, ეს აუცილებელია ჩვენთვის რადგან, ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, ექსპორტის მოცულობა ბევრად ნაკლებია იმპორტზე, რის გამოც სულ უფრო მეტად დამოკიდებული ვხდებით სხვებზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით;

5. შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციისა და მოსავლის დაზღვევის ერთიანი, გამჭვირვალე და მარტივი სისტემა, როგორც მრავალწლიანი ისე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, რომელიც ფერმერებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული მაღალი რისკების დაზღვევას და ფერმერთა მატერიალურ და სოციალურ დაცულობას.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. მანველიძე - თავისუფალი ბიზნესი სოციალური უსაფრთხოების საფუძველი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2006 წ.
2. საქართველოს სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი „საქართველოს წელიწდეული“ 2008 წ

3. ლ. ჩაგელიშვილი. საქართველო თავისუფალი ვაჭრობის სივრცეში. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, №7, 2007 წ.
4. პ. კოლუაშვილი. საქართველომ მდგრადი განვითარების გზით უნდა იაროს
5. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ 2007 წ.
6. აჭარის ა.რ-ის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბიულეტენი „აჭარა ციფრებში“, დეკემბერი, 2008 წ.